ყაყაი თოფურიძე ბრისტოლი ქონდი

287 1 181

287 1 181

16.01.2025

13.

ახალი ოპერის განხილვა

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა კომპოზიტორ კ. მელვინეთ-უხუცესის ახალი კომიკური ოპერის „ბეკინას ქორწინების“ მოსმენა.

ოპერის ლიბრეტო დაწერა ტ. გელეიშვილმა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დ. კლდიაშვილის მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვლის“ მიხედვით. ოპერა მოსმენილ იქნა ფორტეპიანოს შესრულებით. არიები იმღერეს თეატრის სოლისტებმა.

მოსმენის შემდეგ გაიმართა განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რეჟისორებმა ა. წუწუნავამ და მ. კვალიაშვილმა, კომპოზიტორმა გ. კოკელაძემ, მუსიკათმცოდნე პ. ხუჰუამ, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დ. მჭედლიძემ და სხვ.

მათ აღნიშნეს მუსიკის მელოდიურობა, მსმენელთა ფართო ფენებისათვის მისი მისაწვდომობა, გამოთქვეს აზრი ახალი ოპერის ნაკლოვანებათა შესახებ. „ბეკინას ქორწინების“ ავტორმა დამსწრეთ აღუთქვა მხედველობაში მიიღოს ეს მითითებანი თავისი ნაწარმოების საბოლოო დამუშავების დროს.

სატვირთო ავტომანქანები კოლმეურნეობებს

ცეკავშირმა მიიღო 50 სატვირთო ავტომანქანა „გაზ-51“ და „გაზ-93“. ავტომანქანებს მიჰყიდიან ჩაის, დაფნის, რძისა და მატყლის დამამზადებელი რაიონების კოლმეურნეობებს. დიდძალი ავტოსაბურავი გაეგზავნა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონების კოლმეურნეობებს.

ტაქსი ფუნიკულორზე

ტაქსის გამოყენების თბილისის ავტოსატრანსპორტო კანტორამ შემოიღო სამარშრუტო ტაქსის მოძრაობა ბერიას მოედანსა და ფუნიკულორის ზედა სადგურს შორის.

ტაქსი ივლის შაბათობით საღამოს 5-დან 12 საათამდე და კვირაობით დილის 11-დან ღამის

სად დავისვენოთ

ფუნიკულორის პლატოზე

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის (ფუნიკულორის პლატო) საზაფხულო თეატრში გაიმართება დიდი კონცერტი დედაქალაქის თეატრების მსახიობთა მონაწილეობით, ბავშვებისათვის მოეწყობა სხვადასხვა გართობა, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები. სალექციო დარბაზში დოცენტი პ. ღუდუშაური წაიკითხავს ლექციას: „დიდი პროლეტარული მწერალი მ. გორკი“. საჭადრაკო დარბაზში მოეწყობა ერთდროული თამაშის სეანსები.

მოსწავლეთა ზეიმი

ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილება სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით მართავენ ქალაქ თბილისის მოსწავლეთა ზეიმს.

საზაფხულო თეატრში გაიმართება დიდი კონცერტი, საცეკვაო მოედანზე მოეწყობა ახალგაზრდობის შეხვედრა. ცეკვების საუკეთესო შემსრულებლებს მიეცემათ ჯილდოები. პარკში მოეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ფილარმონიის საზაფხულო გაღმა

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია აწყობს პირველ საბავშვო დილას. ბაღში მოეწყობა მრავალი გასართობი. საზაფხულო თეატრში გაიმართება კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო მეჩონგურეთა ანსამბლი ნ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და ფილარმონიის სოლისტები. საღამოს უზბეკეთის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის თამარ ხანუმის მონაწილეობით გაიმართება დიდი კონცერტი.

დიდი სახალხო სეირნობა

გორკის სახელობის პარკში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა. საცეკვაო მოედანზე მოეწყობა ცეკვები, საზაფხულო დარბაზში — ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი წარმოადგენს შ. მილორავას ოპერეტას — „ერთხელ გაზაფხულზე“. პარკის დირექცია თავის სისტემაში შემავალ მუშა-მოსამსახუ-

2. მასწავლებელთათვის სასარგებლო წიგნი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ა. თოფურიას წიგნი „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა გასულ წელს გამოსცა, წარმოადგენს ცალკეული საბჭოთა მწერლის შემოქმედების სწავლების შესახებ ეროი მთლიანი მეთოდიკური მონოგრაფიული შრომის შექმნის პირველ ცდას.

წიგნის პირველ თავში (გვ. 8-27) ა. თოფურია ანალიზს უკეთებს ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლების საგანმანათლებლო და აღმზრდელობითს მნიშვნელობას და აყალიბებს იმ ზოგად მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს, რომლებიც განსაზღვრავენ საბჭოთა სკოლაში საერთოდ ლიტერატურისა და კერძოდ მოწინავე საბჭოთა მწერლის ლეო ქიაჩელის მდიდარი და მრავალფეროვანი შემოქმედების სწავლებას. ა. თოფურია კონკრეტული პროგრამული მასალების — „ტარიელ გოლუასა“ და „გვადი ბიგვას“ მაგალითებზე ლიტერატურის მასწავლებლებს პრაქტიკულად უჩვენებს, თუ რაში მდგომარეობს ლეო ქიაჩელის შემოქმედების უდიდესი იდეურ-აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა და რა როლს ასრულებს იგი მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში.

საყურადღებოა წიგნის მესამე თავი (გვ. 39-122), რომელიც მთლიანად მიძღვნილია ლეო ქიაჩელის რევოლუციამდელი პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოების „ტარიელ გოლუას“ სწავლების მიზნების, პრინციპების, ორგანიზაციისა და მეთოდების გარკვევისადმი. ავტორი წიგნის ამ ნაწილში სხვადასხვა ზოგადმეთოდიკური პრობლემების მართებულ გადაწყვეტასთან ერთად ახლებურად აშუქებს ისეთ საკითხებს, როგორიც არის სალექსიკონო მუშაობა, მხატვრული ტექსტის კითხვისა და შესწავლის ორგანიზაცია კლასში, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზის გზები და პრინციპები, კომპოზიცია, მისი ფუნქცია გმირთა ხასიათების გახსნაში, მოქმედ პირთა დახასიათება და სხვ. ამასთან ამ თავში იგი იძლევა დღემდე უცნობ, ახალ საინტერესო მასალებს „ტარიელ გოლუას“ შექმნის ისტორიიდან.

არანაკლებ საინტერესოა მასწავლებელთათვის წიგნის მეოთხე თავი (გვ. 122-166), რომელშიც საფუძვლიანად არის გაშუქებული ქართული ლიტერატურის ისტორიის სასკოლო კურსში ლეო ქიაჩელის შემოქმედების, კერძოდ მისი „გვადი ბიგვას“ სწავლებასთან დაკავშირებული პედაგოგიკურ-მეთოდური საკითხები.

წიგნი, მართალია, მონოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ იგი ძირითადად აგებულია მხოლოდ „ტარიელ გოლუასა“ და „გვადი ბიგვას“ სწავლების საკითხებზე. ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამებით კი აღნიშნულ ნაშრომებს გარდა ლეო ქიაჩელის შემოქმედებიდან ჩვენს სკოლებში ისწავლება აგრეთვე „მამა და შვილი“ (მე-5 კლასი) და ნაწყვეტი „მოის კაციდან“ (მე-6 კლასი). ავტორი ამ ნაწარმოებებს მხოლოდ გაკვრით ეხება და მათი სწავლების გზებისა და ხერხების შესახებ თითქმის სრულიად არაფერს ამბობს.

ეხება რა საშუალო სკოლაში ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სწავლების საკითხებს, ა. თოფურია კმაყოფილდება მეთერთმეტე კლასში მასწავლებლის მიერ ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედებითი გზის შესახებ შესავალი ლექციის გეგმის მოცემით, ხოლო მასალებს ამ ლექციისათვის არ იძლევა. ჩვენთვის კი, მასწავლებელთათვის, სათანადო ფაქტიური მასალების მოწოდებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამჟამად ყველაზე სიძნელეებს საბჭოთა მწერლების ბიოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით.

წიგნის 92-ე გვერდზე მოცემულია ტიპიურობის არა ზუსტი განმარტება. მართალია, ა. თოფურიას წიგნში არის ცალკეული ნაკლოვანებანი, მაგრამ მთლიანად იგი სასარგებლო წიგნია მასწავლებელთათვის.

შ. გიგაშვილი,

თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.